1 თებერვალი

ოიგითი IV კვირა [IV] მწ

(19.I) წმ. ანტონ მესვეტე, მარტომყოფელი

2017 ოთხშაბათი

ებრ 12,4-7.11-15; ფს 102; მარ 6,1-6

იესო მივიდა თავის სამშობლოში მარ 6,1

აქაც, თავისიანებში იესო მიეძღვნება მამის გაცნობის შეთავაზებით. მაგრამ მრავალი გული დაკეტილი დახვდა, ამპარტავნებისა და განკითხვის სულის გამო. ვისწავლოთ იესოსგან, უბრალოებით მივუძღვნათ ქრისტიანული ცხოვრების ჩვენეული მოწმობა ჩვენს გარემოშიც და მზად ვიყოთ დავძლიოთ ადამიანური ნაცნობობისა და უარყოფის შიშის ბარიერები.

2 თებერვალი

უფლის ტაძრად წარდგენა (მირქმა), დ, [ს], თ

2017 ხუთშაბათი

მალ 3,1-4 (ან, ებრ 2,14-18); ფს 23; ლკ 2,22-40

ბერ–მონაზონთა დღე

ჩემმა თვალმა იხილა შენი სნნა ლკ 2,30

სიმეონის მიერ ნათქვამი სიტყვა, როდესაც მან მი-ირქვა ყრმა იესო, ის ლოცვაა, რომელსაც ეკლესია გვთავაზობს ყოველ საღამოს. ამ სიტყვების მიზანია დაგვეხმარონ, ამოვიცნოთ რომ ჩვენი განვლილი დღის განმავლობაში იესო კვლავ ჩვენთან და ჩვე-ნთვის იყო, რათა დავეხსენით შიშისაგან, სევდისა-გან, შურისძიებისა თუ შურის გრძნობებისაგან... მადლობა, იესო, რომ ყოველ დღე მოგვიძღვნი შენს თავს უსასრულო სიყვარულით, რათა ნამდვილი სიცოცხლე მოგვცე!

3 თებერვალი

2017

რიგითი IV კვირა [IV] მწ

წმ. ბლაზი, ეპ. და წამ. +IVს.;
წმ. ანსგარი (ოსკარი), ეპ. +865.

პარასკევი

ებრ 13,1-8; ფს 26; მარ 6,14-29

არ დაგტოვებ და არ მიგატოვებ ებრ 13,5

ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი იხსენებს ღმერთის ამ დანაპირებს, უდაბნოში თავის ერს რომ მისცა, აღთქმულ მიწაზე შესვლამდე. ამ სიტყვებმა სიმამაცე, იმედი და გამძლეობის ძალა მისცა იმ დროინდელ დაღლილ და გულგატეხილ ერს, ისევე, როგორც პირველყოფილ ქრისტიანულ თემს, რომელიც ასევე დევნის რთულ პერიოდში ცხოვრობდა. ღვთის დაპირებანი მარადიულია: განა ჩვენ, დღევანდელ ქრისტიანებსაც არ შთაგვინერგავენ სასოებას, იმედსა და დამოწმების უნარს?

შაბათი

ებრ 13,15-17.20-21; ფს 22; მარ 6,30-34

მოდით და მოისვენეთ ცოტა მარ 6,31

თითქოს ჩვენც გვიხმობს ხოლმე იესო, ხანდახან, ცალკე, მხოლოდ მასთან, მის გულზე მივდოთ თავი მოსასვენებლად; რამოდენიმე წუთით, ან მთელი დღით ანდა მეტითაც, თუკი მეუღლეში, სულიერ მამაში ან მორწმუნე ძმაში ვპოვებთ საამისო დასტურს. მოსასმენი ხმაა!ამ კურთხეული მოსვენების წყალობით ჩვენი მომდევნო სამუშაო მადლით მოირწყვება.

5 თებერვალი

რიგითი V კვირადღე, «ა», [I], მწ

2017 ვირა

ეს 58,7-10; ფს 111; 1კორ 2,1-5; მთ 5,13-16

თქვენა ხართ წუთისოფლის ნათელი მთ 5,14

იესო ესაუბრება თავის მოწაფეებს, მათ, ვისაც სწამთ იგი, ღებულობენ მის სიტყვას და ცდილობენ მისით ცხოვრებას. კმაყოფილია მათით, უწყის, რომ მოიტანენ წუთისოფელში მამის სიყვარულის ნათელსა და მხურვალებას, რომ კურთხევად იქცევიან მრავალთათვის.

მადლობა, იესო, რომ მეც შემიძლია ვიყო შენი!

6 თებერვალი

რიგითი V კვირა [I]

წმმ. პავლე მიკი და მეგ., წამ., +1597, (მ), წ

2017 ორშაბათი

დაბ 1,1-19; ფს 103; მარ 6,53-56

ხალხმა მაშინვე იცნო იგი მარ 6,54

ის ხალხი ძირითადად იყო ღარიბი, ჩაგრული და ძლიერ ტანჯული. მაშინვე შეუძლია ამოიცნოს იესოს სიახლოვე, ვინაიდან მისგან ღებულობს ყურადღებას, შეწევნას, შვებას, მშვიდობას, კურნებას. ვისაც საკუთარი თავი ჰყოფნის, ვინაიდან თითქმის არაფერი აკლია, ჰგონია, რომ არა სჭირდება არავინ და მით უმეტეს ღმერთი, ის ვერ ამოიცნობს იესოს მაცოცხლებელ სიახლოვეს.
იესო, არ ვჩივი იმ ტანჯვის გამო, რომელსაც განვიცდი და იმ სირთულეების გამო, რაც დღეს მომელის: ისინი ის ნათელი იქნება, რომელშიც შენ ამოგიცნობ და დავრჩები შენთან ერთობაში.

სამშაბათი

დაბ 1,20 – 2,4; ფს 8; მარ 7,1–13

მისი გული შორსაა ჩემგან მარ 7,6

მამას ჩვენ „შემსრულებელნი“ არ ვუნდივართ: არა სურს, რომ ვასრულებდეთ სანიმუშო მორწმუნის როლს, არამედ სურს, რომ ვიყოთ მისი შვილები. განსხვავება გულშია: არის გული მიპყრობილი მამისაკენ, ყურს რომ უგდებს მას და შემდეგ შესაბამისად მოქმედებს, და არსებობს ყრუ და ოდენ საკუთარი თავისაკენ მიპყრობილი გული, რომელიც თავს იტყუებს, ვითომ ღმერთისთვის იღწვოდეს და ვარსკვლავებს კრეფდეს.

8 თებერვალი

2017

რიგითი V კვირა [I] მწ

წმ. იერონიმე ემილიანი, +1537;
წმ. იოსეფინა ბახიტა, ქალწ., +1947;
(26.I) წმ. დავით აღმაშენებელი

ოთხშაბათი

დაბ 2,4-9.15-17; ფს 103; მარ 7,14-23

დამიგდეთ ყური ყველამ და გაიგეთ მარ 7,14

მნიშვნელოვანი რამაა, რასაც ახლა გვეუბნები, იესო, და ყველას გასაგონად ამბობ: კარგად უნდა გაგიგოთ! ის რაც გვსვრის, ანუ მამისათვის შეუხე-დავს გვხდის, ის როდია, რასაც ვჭამთ ანდა რაც გარეგნულად გვაბინძურებს; არამედ ის, რაც ჩვენს გულში აღწევს, წმიდა სულის სადგომში, და რაც მისთვის უცხოა, ანუ, არაა ნამდვილი სიყვარული.

ხუთშაბათი

დაბ 2,18-25; ფს 127; მარ 7,24-30

ეშმაკი გავიდა შენი შვილისაგან მარ 7,29

„ამ შენი სიტყვის გამო წადი, ეშმაკი გავიდა შენი ასულიდან“. რა თქვა ასეთი იმ წარმართმა დედამ? სიტყვა, რომელიც გამოხატავდა უფლის ჩანაფიქ-რისა და მისი ვადებისადმი სრულ მორჩილებას; ყოველგვარი პრეტენზიისაგან დაცლილი და დიდი თავმდაბლობით სავსე სიტყვა, ამავდროულად სავსე იყო დიდი ნდობით: იგი დარწმუნებული იყო, რომ იესოს სიყვარულს შეეძლო მისწვდომოდა მასაც, რაკი იმხელა იყო, რომ ყველას ეყოფოდა!

პარასკევი

დაბ 3,1-8; ფს 31; მარ 7,31-37

ყრუებს ასმენინებს და მუნჯებს ალაპარაკებს მარ 7,37

მადლობა, უფალო იესო! შენ ყოველ დღე მიხსნი სასმენელს, რათა მომწვდეს მამის ხმა და ძმათა ხმა; გახსენი ბაგე ჩემი, რათა ვაკურთხო იგი, ვისაც ვუყვარვარ და შევძლო მივაწვდინო ნათლის ან გამხნევების სიტყვა ჩემს ძმას!

11 თებერვალი

რიგითი V კვირა [I] მწ

ლურდის ღვთისმშობელი (უმანკო ჩასახება)1858
(29.I) წმ. აშოტ დიდი კურაპალატი, წამებ.

2017 შაბათი

დაბ 3,9-24; ფს 89; მარ 8,1-10

სნეულთა დღე

მებრალება ბრბო. მარ 8,2

გსურს იპოვო ისეთი მეგობარი, რომელიც არა-
სოდეს მიგატოვებს, ვინც თანაგიგრძნობს შენ და
არასოდეს აგიგდებს აბუჩად, რომელსაც ძალუძს
ნებისმიერ საქმეში შეგეწიოს? ეძიე იესო, მიდი და
დარჩი მასთან ყოველდღიურად!

12 თებერვალი

რიგითი VI კვირადღე, «ა», [II], მწ

2017 ვირა

სირ 15,15-20; ფს 118; 1კორ 2,6-10; მთ 5,17-37

ვინც გაშვებულს შეირთავს, მრუშობს მთ 5,32

დღევანდელობაში, როდესაც მრუშობა მოდად ქცეულა, იოლია გაყრილ ხალხთან შეუღლება და ამ სიტყვის მოსმენის სურვილიც ქრება: არადა ეს იესოს სიტყვაა. და ვიცით რომ იგი არაფერს ამბობს ფუჭად და არც ჩვენს საზიანოდ. აუცილებელია ჩავეჭიდოთ ღვთის წმიდა მოშიშებას, ვიდრე სახლიდან გავიდოდეთ, კაფეში ყავის დასალევად შევიდოდეთ მეგობრებთან ერთად და ვიდრე მივუახლოვდებოდეთ ჩვენი უფროსის თუ მდივნის კაბინეტს!

ორშაბათი

დაბ 4,1-15.25; ფს 49; მარ 8,11-13

ამ მოდგამს არ მიეცემა არანაირი ნიშანი მარ 8,12

იესოს მთელი ცხოვრება იყო ერთი დიდი მუდმივი ნიშანი ამ მოდგმისათვის: სხვა ნიშნები საჭიროც აღარ იყო. ჩვენს მოდგმას კი? *„ნეტარ არიან, ვისაც არ ვუნახივარ და სწამს“* გვეუბნება იესო. წმიდა პეტრეც წერდა: *„თქვენ გიყვართ იგი, თუმცა არ გინახავთ; და ახლა, მისი ხილვის გარეშე გწამთ იგი“*. არადა, თუ დავუკვირდებით, მივხვდებით, რომ ჩვენი ცხოვრების მანძილზე იესოს მრავალი ნიშანი აქვს ჩვენთვის მოცემული: შევინახოთ ისინი მეხსიერებაში, რათა მტკიცენი დავრჩეთ რწმენაში. არც იმედები გაგვიცრუვდება და არც მოვტყუვდებით!

14 თებერვალი

2017

წმმ. კირილე (+859) და მეთოდი (+885)
ევროპის მფარველნი, დ, [ს] თ

სამშაბათი

საქმ 13,46-49; ფს 116; ლკ 10,1-9

ახლოა თქვენთან ცათა სასუფეველი ლკ 4,4

ამ სიტყვას ვპოულობთ იესოს ბაგეზე, რომელსაც იგი გადასცემს თავის მოწაფეებს, რომლებსაც გზავნის წინ და წინ რათა ადგილი გაუმზადონ მას. ის კეთილი ამბავია, რომელიც მეუწყა და გადმომეცა მეც. იესოს მამავ, უფალო ჩემო, მწამს, რომ ახლო ხარ, რომ მიმიძღვი და მიცავ! ყურადღებით ვიქნები, რომ დავამოწმო, ვანახო შენი სიყვარული მათ, ვისაც დამიყენებ გზაზე. წმიდანო კირილე და მეთოდე, თქვენმა ძლიერმა ლოცვამ წმიდაჰყოს ევროპის ერები.

ოთხშაბათი

დაბ 8,6-13.20-22; ფს 115; მარ 8,22-26

და მას თვალი აეხილა, განკურნებულიყო. მარ 8,25

ბრმის განკურნება, რომელზეც მოგვითხრობს სახარება, მოითხოვს ორგზის ჩარევას იესოს მხრიდან: მხოლოდ მეორე ჯერზე დაინახა ბრმამ ნათლად. ეს შეგვახსენებს იესოსთან ერთად გასავლელ გზას: არა კმარა დავემორჩილოთ მას მხოლოდ ერთხელ, რათა მან შეძლოს ჩვენს გულში მოქმედება თავისი სიტყვით, თავისი სულით.

16 თებერვალი

რიგითი VI კვირა [II] მწ

2017 ხუთშაბათი

დაბ 9,1-13; ფს 101; მარ 8,27-33

შენ ღვთიურად კი არა,
ადამიანურად ფიქრობ მარ 8,33

პეტრეს სურდა იესოსთვის თავიდან აეცილებინა ტანჯვა და ჯვარი; არადა ასეთი იყო გზა, რომელიც აირჩია მამამ ჩვენს დასახსნელად! როდესაც ჩემს ცხოვრებაში თავს იჩენს ხოლმე სატანჯველი, ჯვარი, მაშინვე როდი ვეცდები ინსტინქტურად გვერდი ავუქიო მას. შევეცდები გავარკვიო მამის ნება და მივიღო ის შვილობრივი ნდობით.

17 თებერვალი
2017
რიგითი VI კვირა [II] მწ
ნეტარ ქალწული მარიამის მსახურთა ორდენის
შვიდნი დამფუძნებელნი

პარასკევი

დაბ 11,1–9; ფს 32; მარ 8,34 – 9,1

მ. სიმონ კლიმაშევსკის გახსენება (+2006)

ვისაც სურს საკუთარი სიცოცხლის ხსნა, დაღუპავს მას მარ 8,35

დარწმუნებული ვიყავი რომ ჩემი ძალებით უნდა
დამეღწია თავი, არადა რაც მეტს ვცდილობდი, მით
ნათლად ვხედავდი, რომ არ გამომდიოდა. შემდეგ
კი იესომ ამიხილა თვალი: ვიხილე, რომ იგია
ჩემი მხსნელი და შემეძლო საკუთარ თავზე აღარ
მეზრუნა, შემეძლო ჩემი სიცოცხლის დაკარგვა,
მიმეძღვნა ის იქ, სადაც იგი მიმითითებდა,
და ვპოვე უხვი მშვიდობა!

18 თებერვალი

2017 შაბათი

ებრ 11,1–7; ფს 144; მარ 9,2–13

ვინც ღმერთთან მიდის, უნდა სწამდეს, რომ ღმერთი არსებობს ებრ 11,6

ყველას შეიძლება შეგვემთხვეს დაბნეულობის რაიმე მომენტი, როდესაც გვიჩნდება კითხვა, მართლა არსებობს თუ არა ღმერთი, და ყველაფერი ერთი დიდი მოჩვენება ხომ არაა: ეს ცდუნებაა, რომელმაც არ უნდა შეგვაშინოს. ამგვარ მომენტებში შემწეობად შეიძლება მოგვევლინოს იესოს პირველი მოწაფეების დამოწმება და მრავალ წმიდანთა გამოცდილება. პატარა წმიდა ტერეზამ, მაგალითად, მრავალი ამგვარი ბნელი წუთი გამოიარა, არადა ახლა მისი ხსონა გვიდასტურებს, რომ ღმერთი, და პირველ რიგში კი მისი სიყვარული ჩვენდამი, მოჩვენება არაა: ყველაზე ნამდვილი რეალობაა!

19 თებერვალი

რიგითი VII კვირადღე, «ა», [III], მწ

2017 პარასკევი

ლევ 19,1-2.17-18; ფს 102; 1კორ 3,16-23; მთ 5,38-48

სრულყოფილნი იყავით, როგორი სრულყოფილიცაა თქვენი ზეციერი მამა მთ 5,48

მამის სრულყოფილება სიყვარულია. მამას უყვარს ყველა, უყვარს მუდამ, უყვარს სრულად. ჩვენ, ქრისტიანებს ძალგვიძს ვიცხოვროთ ჩვენი მამის მსგავსად; ანუ, შეგვიძლია გვიყვარდეს ჩვენი მტრები, ვილოცოთ ჩვენი მოძულეებისათვის, მდევნელთათვის და აბუჩად ამგდებთათვის. აი, მამის მისაბაძად ყველაზე მოკლე გზა. საჭიროა ბევრი ლოცვა, იესოსთან ერთობაში.

ორშაბათი

ზირ 1,1-10; ფს 92; მარ 9,14-29

სიბრძნის წყაროა ღვთის სიტყვა ზირ 1,5

ბრძენი ის კი არაა, ვინც ყველაფერი იცის ქმნილების შესახებ, არამედ ის, ვინც შემოქმედს იცნობს. ბრძენია ის, ვინც ენდობა მას უფრო მეტად ვიდრე საკუთარ ინსტინქტს. ბრძენია ის, ვინც ისეთ გადაწყვეტილებებს ღებულობს, რომლებზეც შემდეგ არ ინანებს. ბრძენია ის, ვინც იმ ღმერთის სიტყვას ჩასჭიდებს ხელს, რომელიცაა სიყვარული, იესოს მამა, ჩვენი უფალი.

21 თებერვალი

2017

რიგითი VII კვირა [III] მწ

წმ. პიერ დამიანი, ეპ. და ეკლ. მოძ. +1072

სამშაბათი

ზირ 2,1-11(1-13); ფს 36; მარ 9,30-37

მიიღე, რაც შეგემთხვევა და მოიმთმენი იყავ ზირ 2,4

როდესაც გადავწყვეტთ მივყეთ იესოს და მის მოძღვრებას, ეშმაკი ეცდება ხელი შეგვიშალოს ცდუნებითა და რაიმე მძიმე განსაცდელით. დღეს ღვთის სიტყვა მოგვიწოდებს დავთანხმდეთ ჩვენს მდგომარეობას მოთმინებით, წმიდა სულის ერთგული შემწეობისადმი მტკიცე სასოებით.

22 თებერვალი

წმ. პეტრე მოციქულის საყდარი, დ, [ს], თ

2017 ოთხშაბათი

1პეტ 5,1-4; ფს 22; მთ 16,13-19

შენა ხარ პეტრე და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას მთ 16,18

იესო პეტრეს ეუბნება ამ სიტყვებს, მას შემდეგ, რაც მოწაფემ აღიარა მოძღვარში ცოცხალი ღვთის ძე, როგორც სინამდვილეშია. ყოველი ქრისტიანი, ვინც გამოხატავს ამ რწმენას იესოში, კვლავაც ახარებს მის გულს და აძლევს საშუალებას ააგოს თავისი ეკლესია, ადგილი, სადაც მამას შეეძლება ყველას მიღება და შეყვარება. მადლობა იესო, შენდამი რწმენისა და შენთვის ცხოვრების მადლისათვის!

23 თებერვალი
2017
რიგითი VII კვირა [III]
წმ. პოლიკარპე, ეპ. და წამ., +155, წ

ხუთშაბათი

ზირ 5,1-8(1-10); ფს 1; მარ 9,41-50

მ. სტეფანე დემურიშვილის გახსენება

ნუ გადადებ ღმერთისკენ მოქცევას ზირ 5,7

პირველად როდი მესმის ღვთის სიტყვისაგან ამ-
გვარი მოხმობა, თუმცა არ ვიცი, შესაძლოა ბოლო-
ჯერაც... შემეწიე, სულო წმიდაო, მეტი გადაწყვეტით
მივემხრა უფალ იესოს, შევცვალო ჩემი ცხოვრების
ის მხარეები, რომლებზეც ვუწყი, რომ მისი ნების
თანახმად ვერაა! შემეწიე, სერიოზულობით ვიცხო-
ვრო მოახლოებული დიდმარხვის ჟამი, ყველა იმ
შემწეობით, რასაც ის მიწვდის!

პარასკევი

ზირ 6,5–17; ფს 118; მარ 10,1–12

ადამიანი ნუ განაშორებს, რაც ღმერთმა შეაერთა მარ 10,9

იმოქმედო ღვთის ნების მიღმა ნიშნავს დიდი ზიანი მიაყენო შენს ცხოვრებას. იესოს წინაშე შეუღლებული წყვილი, რომლებიც შორდებიან ერთმანეთს, შეურაცხყოფენ უფალს და იარას აყენებენ საკუთარ თავსა და შვილებს, თუკი ჰყავთ ისინი, და მთელ საზოგადოებას.
მოდი, იესო, შეეწიე ქრისტიან მეუღლეებს წმიდა სულის ნათლითა და ძალით, რათა არ დანებდნენ გახშირებულ მზაკვრულ ცდუნებას, რომელიც დასცემს მათ, ვისაც უყვარს სიამე და ვინც გივიწყებს შენ!

შაბათი

ზირ 17,1-13; ფს 102; მარ 10,13-16

გაუშვით ბავშვები, მოვიდნენ ჩემთან მარ 10,14

... და ნუ დაუცდით ვიდრე დაიზრდებიან და შეიქნებიან გზააბნეულობის, არეულობისა და შინაგანი მარტოობის მსხვერპლნი! დიახ, ოდენ ხორციელი და ინტელექტუალური ზრდით, ისინი მოაკლდებიან იმისი სიყვარულის გამოცდილებას, რომელიც უფრო ახლო მეგობარია მათი, ვიდრე თავად მშობლები. იესოა საუკეთესო „ფსიქოლოგი“, რომელიც იცნობს მათ და ესმის მათი, ვინაიდან მკვიდრობს მათში. მისი მადლი როდი ეკრძალებათ მცირეწლოვნებს! მეტიც, მათში ის ყველაზე ნაკლებ წინაღობას აწყდება!

26 თებერვალი

რიგითი VIII კვირადღე, «ა», [IV], მწ

2017 ვირა

ეს 49,14–15; ფს 61; 1კორ 4,1–5; მთ 6,24–34

გეუბნებით თქვენ, ნუ იზრუნებთ თქვენს სიცოცხლეზე მთ 6,25

იესო როდი გვეუბნება: „ხელს არ გაანძრიოთო...“, არამედ *„ნუ იზრუნებთო თქვენს სიცოცხლეზე“*. მაშ, მკლავებსაც დავიკაპიწებთ, ოღონდ შფოთვის გარეშე, უფლისადმი სიყვარულით გაწეულ მსახურებისათვის, მისდამი მორჩილებისათვის. ის, რაც გვწადია და რაშიც გვსურს დავხარჯოთ ჩვენი დღეები და ჩვენი შრომა, ღვთის სამეფოს დადგომაა: დაე, ყოველმა ადამიანმა შეძლოს მისი სიყვარულის შეცნობა და ამგვარად იცხოვროს მშვიდი და საზრისით სავსე ცხოვრებით ამქვეყნად და სიხაულით სავსე ზეცაში.

27 თებერვალი
2017
რიგითი VIII კვირა [IV] მწ

ორშაბათი

ზირ 17,19-24(20-28); ფს 31; მარ 10,17-27

რა უნდა გავაკეთო, საუკუნო სიცოცხლის დასამკვიდრებლად? მარ 10,17

ამ კითხვაზე იესო პასუხობს ნათლად და უბრალოდ. სიცოცხლეში შესასვლელად უნდა დავადგეთ ამ გზას: დავიცვათ ათი მცნება. ესენი ხომ მამის ბრძნული მითითებებია, რათა ამქვეყნადვე დავაგემოვნოთ მშვიდი ცხოვრება. მივადგებით სისავსეს, *„მარადიულ სიცოცხლეს“*, იესოს მიღებით, რომელიცაა *„გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“*. გყავდეს იესო გულში – ყველაფერია!

28 თებერვალი

რიგითი VIII კვირა [IV] მწ

2017 სამშაბათი

ზირ 35,1-12(1-15); ფს 49; მარ 10,28-31

ცარიელი ხელებით ნუ წარსდგები უფლის წინაშე ზირ 35,6

ეს რჩევა მნიშვნელოვანია. ოღონდ, გაფრთხილება გვმართებს, თუ რის მირთმევას ვუპირებთ უფალს! ვიცით, რომ იმ ფარისეველმა ტაძარში სიამაყით ჩამოთვალა თავისი კეთილი საქმეები: მისი ხელები სავსე იყო, თუმცა... მისი გული იყო სიყვარულისაგან დაცლილი. იმ მებაჟეს კი, რომელსაც სრულებით არაფერი ჰქონდა დასაკვეხნი, სავსე ჰქონდა გული თავმდაბლობით, თავისი ღმერთის დიდი სიყვარულის შეგნებით და მისდამი სასოებით.